საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №58

ქ. თბილისი 7.12.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი; საბჭოს თავმჯდომარე;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის მდივანი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;
სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გიორგი თურქია- ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფ PMCG"-ს ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი:
ლალი ხვედელიძე - კანცლერი;
ნათია მიქელთაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან გოლეთიანი - პროგრამის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:
ევა გოცირიძე - სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით ბოსტოღანაშვილი - სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი;
ლევან ჯიქია - დეკანი;
სერგო ვარდოსანიძე - რექტორი, ისტორიის პროგრამის ხელმძღვანელი;
პაატა გოგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი:
გიორგი მათიაშვილი - რექტორი;
მაია უკლება - რექტორის მოადგილე;
ლალი ჩაგელიძვილი-აგლაძე - ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ხარისხის სამსახურის უფროსი;
მარინა ვეკუა- ჟურნალისტიკის პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო ახალაშვილი - ფსიქოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი;
ვაჟა ხუჭუა - ხარისხის სამსახურის უფროსი.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი:
კახი ყურაშვილი - სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი;
თამარ ლალიაშვილი - დეკანის მოადგილე, პროგრამის თანახელმღვანელი;
ილონა საყვარელიძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო აბაიშვილი - დეკანის მოადგილე, პროგრამის თანახელმძღვანელი;
ნათია ქაჯაია - დაწესებულების წარმომადგენელი;
გიორგი გახელაძე - ხარისხის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
მანანა მოისწრაფიშვილი;
რუსუდან სეთურიძე;
ანა გვრიტიშვილი;
ასლან მახაძე;
მერაბ ხოხობაია;
ეკა დევიძე;
ანა მოსემღვდლიშვილი;

ნინო შოშიტაშვილი;
ანჟელა აბულაძე;
ლილი ხეჩუაშვილი;
საბა ბაზლიძე;
ვახტანგ ჟვანია;
თათია უბერი;
ნინო კორსანტია;
ეკა ბეშკენაძე;
ვახტანგ თებიძე;
თამარ ბარამაშვილი;
თეიმურაზ პაპასქირი;
ნანა ფირცხელანი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:23 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდუმა. ამავე პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს, ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის გემის მექანიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე

შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი, შესაბამისად წრმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზღვაო ნავიგაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საზღვაოსნო მეცნიერებების ბაკალავრი, 1110
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იანუშ ურიაშმა წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ძირითადი მიგნებები სკაიპ ჩართვის მეშვეობით. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლის თანახმად რეკომენდირებული იყო:

- რეკომენდირებული იყო პროგრამის შემუშავებისა და მოდიფიკაციის წესის იმგვარად ფორმულირება, რომ ყოველთვის ყოფილიყო უზრუნველყოფილი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობა პროცესში. მეტი კურსდამთავრებულისა და სტუდენტის ჩართვა კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიკაციაში, ასევე სწავლის შედეგების ფორმირებაში.
- პროგრამის სწავლის შედეგების რიცხვის შემცირება არსებული სწავლის შედეგების შეკვეცისა და განზოგადების გზით.
- სწავლის შედეგების რუკის ცვლილება და პროგრამისთვის სპეციფიური სწავლის შედეგების დადგენა მათი შეფასების ზუსტი გეგმის შემუშავების მიზნით.
- აკადემიური კურსების შინაარსის შემოწმება და ლიტერატურის განახლება ბოლოდროინდელი ქართული გამოცემებით.
- სილაბუსში იმ შინაარსის დატოვება, რომელიც უშალოდ კონკრეტულ საგანს/მოდულს ეხება.
- იმის უზრუნველყოფა, რომ სტუდენტებმა გემზე გაიარონ საჭირო პრაქტიკა, იმ პარამეტრებით, რომელიც აკმაყოფილებს დარგში დამკვიდრებულ მოთხოვნებს, როდესაც პრაქტიკა გათვალისწინებულია კონვენციის (STCW) პრაქტიკით.

- სასწავლო უნივერსიტეტსა და საზღვაო პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში სტუდენტთა რაოდენობისა და პრაქტიკის ხაგრძლივობის მითითება.
- თითოეულ სილაბუსში საკონტაქტო საათების მკვეთრად გამოხატული განაწილება სწავლების თეორიული, პრაქტიკული, ლაბორატორიული, სასემინარო და სხვა ფორმების მიხედვით.
- საზღვაო პრაქტიკის უზრუნველყოფა ისეთ ხომალდზე, რომელიც აკმაყოფილებდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, როდესაც ხსენებული პრაქტიკა უნდა ჩათვლილიყო საზღვაო პროფესიულ პრაქტიკად.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად უნიფიცირებული რეგულაციებისა და წესების შემუშავება, კრიტერიუმების ანალიზისა და უკუკავშირის მექანიზმების ჩართვით.
- უფრო დეტალური მექანიზმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისთვის და პროცესში კვალიფიციური/კომპეტენტური პირების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა პრაქტიკასთან დაკავშირებული შენიშვნის შესახებ და აღნიშნა, რომ არსად არ ჰქონდათ მითითებული, რომ სასწავლო პრაქტიკას უნივერსიტეტის გემ „ელიტაზე" ახორციელებდნენ. ის ფარავდა მხოლოდ სასწავლო პრაქტიკის ნაწილს, ხოლო სავალდებულო საოკეანო 6-თვიან პრაქტიკას უზრუნველყოფდნენ საკრუინგო კომპანიები. ქირაობდნენ მეზღვაურებს კონკრეტული გემთმფლობელისათვის. ისინი შუამავალ საკრუინგო კომპანიას უგზავნიდნენ სიას ვაკანტური ადგილების შესახებ. სტუდენტს პრაქტიკაზე გაშვებამდე, მოჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული საკრუინგო კომპანიის მიერ, სადაც მითითებული იყო პრაქტიკის ხანგრძლივობა და ადასტურებდნენ 6-თვიან პრაქტიკის შესაბამისობას. სტუდენტი ვერ მიიღებდა დიპლომს მანამ, სანამ არ შეასრულებდა პროგრამის ამ ნაწილს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ წინასწარ ვერ ეცოდინებოდათ სტუდენტების რაოდენობა და დრო, როდესაც შეძლებდნენ პრაქტიკის გავლას, ვინაიდან საქართველოს არ გააჩნდა ფლოტი და არ არსებობდა ქართველი გემთმფლობელი. მუდმივად იყვნენ ძიების რეჟიმში, ჰყავდათ 10 პარტნიორი და ვაკანსიის გამოცხადებისთანავე აწვდიდნენ ინფორმაციას უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები იზიარებდნენ რეკომენდაციებს, ვინაიდან, მათი მოსაზრებით, მიმართული იყო დაწესებულების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ოთხივე კურსზე ჯამში 300-მდე სტუდენტი ირიცხებოდა, ხოლო სირთულეს წარმოადგენდა ხმელეთზე კურსდამთავრებულების მოძებნა, რადგან ისინი იმყოფებოდნენ ზღვაში.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, რისთვის ამზადებდნენ კურსდამთავრებულებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მეზღვაურები საქმდებოდნენ საერთაშორისო ბაზარზე და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპეციალობა. კაპიტანის შემოსავალი საწყის ეტაპზე განისაზღვრებოდა თვეში 10 000 დოლარით. თუ განსხვავებულ გემზე მიდიოდა, შეიძლება დამატებითი ტრენინგი და სერტიფიკატი მოეთხოვა საკურინგო კომპანიას, რისთვისაც უნივერსიტეტს ჰქონდა ტრეინინგ ცენტრიც.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა, ისწავლებოდა თუ არა პროგრამაში ზღვაოსნობის ისტორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ პროგრამაში ჩადებული იყო ზღვაოსნობის ისტორიის შესახებ ინფორმაცია. პროგრამაში ასევე ისწავლებოდა ზღვაოსნობის

უსაფრთხოება სადაც განიხილებოდა სიტუაციური ანალიზები რეალური შემთხვევების მიხედვით.

15:10 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 15:20 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის გემის მექანიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გემის მექანიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში, 0419
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, მანანა მოისწრაფიშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლის თანახმად რეკომენდირებული იყო:

- პროგრამის შემუშავებისა და მოდიფიკაციის წესის იმგვარად ფორმულირება, რომ ყოველთვის ყოფილიყო უზრუნველყოფილი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობა პროცესში. მეტი კურსდამთავრებულისა და სტუდენტის ჩართვა კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიკაციაში, ასევე სწავლის შედეგების ფორმირებაში.
- სწავლის შედეგების რიცხვის შემცირება ამჟამად არსებული სწავლის შედეგების შემცირებისა და განზოგადების გზით.
- სწავლის შედეგების რუკის შეცვლა კურიკულუმში და პროგრამისთვის სპეციფიური სწავლის შედეგები გამოვლენა, რათა შემუშავებულიყო მათი შეფასების ზუსტი გეგმა.
- აკადემიური კურსების შინაარსის შემოწმება და მიღების წინაპირობების ნათლად ჩამოყალიბება, სადაც ეს საჭირო იყო ან აკლდა.
- აკადემიური კურსების შინაარსის შემოწმება და ლიტერატურის განახლება ბოლოდროინდელი გამოცემებით.
- სტუდენტების მიერ გემზე ისეთი პრაქტიკის მიღების უზრუნველყოფა, რაც შეესაბამებოდა დარგის დადგენილ მოთხოვნებს.
- სასწავლო უნივერსიტეტსა და საზღვაო პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში სტუდენტთა რაოდენობისა და პრაქტიკის ხაგრძლივობის მითითება.

- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით, სწავლა-სწავლების ფორმებისა და მეთოდების შერჩევა და მათი მკაფიო და კონკრეტული აღწერა ყოველი აკადემიური კურსის სილაბუსში.
- საზღვაო პრაქტიკის უზრუნველყოფა ისეთ გემებზე, რომლებიც აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, როცა პრაქტიკა უნდა ჩათვლილიყო საზღვაო პროფესიულ პრაქტიკად.
- სახელოსნოების განახლება დარგის სპეციფიურობის მოთხოვნების გათვალისწინებით პრაქტიკული ტრენინგებისთვის.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად უნიფიცირებული რეგულაციებისა და წესების შემუშავება, კრიტერიუმების ანალიზისა და უკუკავშირის მექანიზმების ჩართვით.
- საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის უფრო დეტალური მექანიზმების შექმნა და კვალიფიციური პერსონალის ჩართვა პროგრამის შესაფასებლად.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა კითხვით მიმართა ექსპერტს მეორე სტანდარტის 2.4 კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებული იყო ნაწილობრივ შესაბამისად.

ექსპერტმა, მანანა მოისწრაფიშვილმა უპასუხა, რომ როგორც პირველი პროგრამის განხილვისას უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, პრობლემა მოხსნილი იყო, რადგან პრაქტიკის ნაწილს უზრუნველყოფდა საკრუინგო კომპანია და არა უნივერსიტეტის კუთვნილი გემი „ელიტა", რომელიც არ იქნებოდა საკმარისი საოკეანო პრაქტიკის დასაფარად. მან დაამატა, რომ აღნიშნული პროგრამა, წინა პროგრამის მსგავსად რეგულირებად სპეციალობას წარმოადგენდა და დარგობრივ მახასიათებელზე დაფუძნებით შემუშავდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა შეფასებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სილაბუსში ცხადად იყო გაწერილი კრიტერიუმები. ჰქონდათ ელექტრონული ჟურნალი, ლექტორი შუალედურ და დასკვნით გამოცდებამდე სტუდენტებს უგზავნიდა შესაბამის მითითებებსაც. ინფორმაცია სტუდენტამდე სრულად და ამომწურავად მიდიოდა, როგორც დავალების შინაარსის, ასევე რაოდენობის კუთხითაც.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა უცხო ენას წინაპირობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტების უცხო ენის ცოდნის დონე დგინდგებოდა უნივერსიტეტში მისვლისთანავე, გადიოდნენ ტესტებს და ნაწილდებოდნენ შესაბამის დონეზე. პროგრამა ითვალისწინებდა, როგორც ენის ინტენსიურ კურსს, ასევე დარგობრივ ინგლისურს. შემდეგ დონეზე გადასასვლელად საჭირო იყო წინა კურსის დასრულება, შესაბამისად წარმოადგენდნენ ერთმანეთის პრერეკვიზიტებს.

16:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 16:10 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მე-2 სტანდარტი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს შეფასებული ჰქონდა როგორც ნაწილობრიც შესაბამისი მოთხოვნებთან, საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც - მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის გემის მექანიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის გემის მექანიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

3. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ტრანსპორტის ბაკალავრი, 0407
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, მანანა მოისწრაფიშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლის თანახმად რეკომენდირებული იყო:

- დაწესებულებას უზრუნველეყო სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მოდიფიცირების პროცესებში.
- შემუშავებულიყო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, დადგენილიყო სამიზნე ნიშნულები და განხორციელებულიყო სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
- საჭირო იყო სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულიყვნენ მაღალკურსელი სტუდენტები და კურსდამთავრებულები.
- საჭირო იყო პროგრამის სტრუქტურის მოდიფიცირება. კერძოდ, სასწავლო კურსები „თურქული ენა“, რომელსაც ეთმობოდა 15 კრედიტი გადასულიყო არჩევით ბლოკში და მინიჭებოდა 12 კრედიტი, გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე გაძლიერებულიყო სპეციალობის სასწავლო კურსები. ასევე, კურსი „ლიდერობა და მართვა“ პირველი სემესტრის ნაცვლად საჭირო იყო რომელიმე მომდევნო სემესტრში გადასულიყო (წინაპირობის „მენეჯმენტის საფუძვლები“ გათვალისწინებით), ხოლო „ბიზნესის საფუძვლების“ სასწავლო კურსი მე-5 სემესტრის ნაცვლად უნდა ესწავლებინათ პირველ სემესტრში.
- საჭირო იყო წინაპირობების განსაზღვრა შემდეგ სასწავლო კურსებზე: „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები“, „ლიდერობა და გუნდის მართვა“, „საბაჟო საქმის საფუძვლები“.

- საჭირო იყო „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სილაბუსის გადამუშავება (Excel-ის სწავლების გაძლიერება და სასწავლო თემებისა და შეფასების სისტემის შესაბამისობაში მოყვანა).
- დაკონკრეტებულიყო პრაქტიკაზე გასაგზავნი პირების რაოდენობა, კრედიტების/საათების რაოდენობა და პრაქტიკის მიზანი.
- რეკომენდირებული იყო, შეფასების სისტემის დიფერენცირება სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით.
- სილაბუსებში გაწერილიყო სტუდენტების შეფასებისას გამოყენებული დავალებების ზუსტი რაოდენობა (მაგ. რამდენი ტესტი და რამდენი ღია კითხვა იყო გამოყენებული).

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობას გაითვალისწინებდნენ, სტრუქტურასთან დაკავშირებით ცვლილებები უკვე განხორციელებული იყო, ხოლო თურქული ენის არჩევით ბლოკში გადატანას არ ეთანხმებოდნენ, რადგან ეს იყო დამსაქმებლის პირდაპირი დაკვეთა. პროგრამაზე ჯამში, ოთხივე კურსზე, სწავლობდა 35 სტუდენტი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ტრანსპორტის ბაკალავრის კვალიფიკაცია არ იყო გადაზიდვების პროგრამის შესაბამისი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მოქმედი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით ტრანსპორტის ბაკალავრი იყო ერთადერთი კვალიფიკაცია, რაც შეიძლებოდა მიენიჭებინა პროგრამას. ანალოგიურ კვალიფიკაციას ანიჭებდა ტექნიკური უნივერსიტეტიც, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ახალ ჩარჩოში იქნებოდა გათვალისწინებული ეს საკითხი და მოგვიანებით, საჭირო გახდებოდა პროგრამის მოდიფიცირება შესაბამისად.

საბჭოს წევრის, გიორგი თურქიას მოსაზრებით, შინაარსიც შესაცვლელი იყო, რადგან პროგრამა ამზადებდა ლოჯისტიკის სპეციალისტებს. კონცენტრირებული იყო პროგრამა გადაზიდვებზე და არ ამზადებდნენ ტრანპორტის სპეციალისტებს. მისი მოსაზრებით, აუცილებელი იყო მარკეტინგის დამატება. დაზღვევის შესახებ სასწავლო კურსში საჭირო იყო არა ჯანმრთელობის შესახებ, არამედ ტვირთისა და საქონლის დაზღვევაზე ორიენტირება. ასევე, მითითებული იყო საზღვაო გადაზიდვები, თუმცა ტვირთის გადაზიდვის სხვა გზებიც არსებობდა - საჰაერო მაგალითად, ამიტომ დასამატებელი იქნებოდა და გასათვალისწინებელი დაზღვევის საკითხებიც შესაბამისად. საჭირო იყო ინფორმაციულ ტექნოლოგიებში თანამედროვე სისტემების დანერგვა, ჰაბებზე საკითხების ჩადება. ასევე, მან აღნიშნა, რომ ვერ იპოვა ხელშეკრულებებზე ცალკე საგანი და გასაძლიერებელი იქნებოდა ფინანსების ნაწილიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს საკითხები ისედაც გათვალისწინებული იყო კურსების ფარგლებში.

ექსპერტმა დამატებით განაცხადა, რომ როდესაც ექსპერტებს ჰქონდათ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან, იქ დადასტურდა რას ასწავლიდნენ თითოეული საკითხის ქვეშ, თუმცა სილაბუსებში კარგად იყო გასაწერი და ამის შესახებ რჩევაც მისცეს დაწესებულებას. ექსპერტის თქმით, სწორედ ამის გამო იყო გამოწვეული შთაბეჭდილება, რომ არ ასწავლიდნენ გარკვეულ საკითხებს.

16:30 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 16:40 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი. ასევე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელდეს მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც, გადამოწმდება ექსპერტთა დასკვნასა და საბჭოს სხდომაზე ასახული რეკომენდაციების შესრულება.

4. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში, 0707
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან, ლილი ხეჩუაშვილთან განხორციელდა სატელეფონო ჩართვა. მან ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნასთან დაკავშირებით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებისთვის განხორციელდა 2018 წლის 1 ოქტომბერს. ვიზიტი განხორციელდა შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით. რაც შეეხებოდა შეფასებას, წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაში იყო I, III, IV და V სტანდარტებთან და ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო - II სტანდარტთან. პროგრამას აკრედიტაცია გავლილი ჰქონდა 2013 წელს და წარმოდგენილი იყო რეაკრედიტაციის მიზნით. მიმდინარე წელს ჰქონდათ პირველი გამოშვება. რომ შეადარეს ძველ დასკვნაში მოცემული ინფორმაცია და მიმდინარე მდგომარეობა, გათვალისწინებული გახლდათ ყველა რეკომენდაცია, რაც გაცემული იქნა აკრედიტაციის ექსპერტების მიერ. პროგრამა დღვანდელი მდგომარეობით მეტად დახვეწილი, ლოგიკურად დალაგებული და გააზრებული გახლდათ. შედგებოდა რამოდენიმე კომპონენტისაგან. სტრუქტურის მიხედვით, ნაწილი იყო საბაზისო სასწავლო მოდული (36 კრედიტი), უცხო ენის სავალდებულო მოდული (24 კრედიტი), სპეციალობის სასწავლო კურსების მოდული (მათ შორის, 96 სავალდებულო და 30 არჩევითი კრედიტი, სულ 126), თავისუფალი კომპონენტი (30 კრედიტი), პროფესიული პრაქტიკა (12 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (12 კრედიტი). პროგრამის წინაპირობები იყო გააზრებული.

რაც შეეხებოდა რეკომენდციების ძირითად საკითხებს: გამოყოფდა რეკომენდაციების 4 ჯგუფს.

რეკომენდაციები გაცემულ იქნა ცალკეულ კურსებთან დაკავშირებით: დასკვნაში აღწერილი იყო დეტალები. მიზანშეწონილი იყო ზოგიერთი კურსის გამარტივება, ზოგიერთი კურსის დაშლა, ზოგის კი - დამატება. იყო ტექნიკური ად შინაარსობრივი ხასიათის რეკომენდაციები, რომლის გამოსწორებაც დაწესებულების მიერ იყო შესაძლებელი.

მეორე ჯგუფის რეკომენდაციები ეხებოდა საკითხავ მასალას. ეს გახლდათ 2 თემა. ერთი, ეხებოდა ადექვატური რაოდენობის ლიტერატურის მიწოდებას. მაგალითად, ყოველკვირეული საკითხავი მასალის ოპტიმალური მოცულობის მასალა ყოფილიყო შეთავაზებული სტუდენტებისთვის. ასევე აღსანიშნავი იყო ლიტერატურის ენასთან დაკავშირებული რეკომენდაცია. სილაბუსებში მოცემული იყო რუსულენოვანი სახელმძღვანელოები/ტექსტები. მათი რეკომენდაცია იყო, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლებულიყო ინგლისურით, ან დროთა განმავლობაში, შექმნილიყო მეტი მასალა ქართულ ენაზე, რათა არ ყოფილიყო რუსულენოვანი მასალის მიწოდების საჭიროება. თუმცა აქვე აღსანიშნავი იყო, რომ თავად ბევრ სასწავლო კურსში ხვდებოდათ აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი არამხოლოდ რიდერები, არამედ - სახელმძღვანელოები და ეს გახდათ მისაღები.

სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან იქნა გაცემული რეკომენდაციების ჯგუფი. სილაბუსში უნდა ყოფილიყო კონკრეტული შეფასების მეთოდები, რომლითაც მოცემული კურსი ფასდებოდა. ამასთან ერთად, რეკომენდირებული იყო, კონკრეტული სწავლა-სწავლების მეთოდები ყოფილიყო ჩაშლილი, რომელსაც პედაგოგი იყენებდა სააუდიტორიო მეცადინეობების დროს.

რაც შეეხებოდა აკადემიურ პერსონალთან გაცემული რეკომენდაციებს, ეს ეხებოდა მათ კვლევით საქმიანობას. მეტად უნდა წახალისებულიყო აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობა, ეს იქნებოდა ადგილობრივი, შიდა საუნივერსიტეტო მცირე დაფინანსება, ცალკეული პროფესორების მიერ ინდივიდუალური თუ ინსტიტუციური კვლევითი გრანტების მოზიდვა, თუ პერსონალის დატრენინგება/კონსულტირება საგრანტო წინადადებების მომზადება/წარდგენის მიმართულებით. პროგრამაზე იყო გაცემული ასევე რჩევები, რომელიც უკვე დაწესებულების ნება იყო გაითვალისწინებდა თუ არა შეთავაზებულს.

შეჯამების სახით სურდა ეთქვა, რომ წინა აკრედიტაციასთან შედარებით პროგრამა იყო დახვეწილი და გაუმჯობესებული.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნა შედგენილი იყო კვალიფიციურად. რეკომენდაციებს თითქმის ეთანხმებოდნენ. გამონაკლისი იყო ზოგიერთი მათგანი. აღსანიშნავი იყო რეკომენდაცია სოციალურ პედაგოგიკასთან დაკავშირებით. შეთავაზებული იყო არჩევითი კურსებიდან მისი ამოღება. სოციალური პედაგოგიკა მათ ჰქონდათ თავისუფალ კრედიტებში. ექსპერტების დასკვნა მდგომარეობდა იმაში, რომ თითქოს დუბლირება ხდებოდა სხვადასხვა საგანთან და საკითხებთან. თავისუფალი კრედიტები დაწესებულების სხვა სპეციალობის სტუდენტს შეეძლო აერჩია მათი

პროგრამიდან. ამიტომ მეტი იყო პიროვნების, სოციალურ ფსიქოლოგიაზე, ასევე პედაგოგიურ საკითხებზე თემები. შეიძლება ეთქვათ, რომ ამ რეკომენდაციას არ ეთანხმებოდნენ. სოციალურ პედაგოგიკას ფსიქოლოგი არ აირჩევდა. აირჩევდა სხვა პროგრამის სტუდენტი. რაც შეეხებოდა საკითხავ მასალას. რუსული ლიტერატურა თითქმის მხოლოდ დამატებით საკითხავ მასალაში იყო მითითებული. პროგრამაში მოცემულ ლიტერატურაზე მათ ჰქონდათ შედგენილი რიდერები, ასევე მათი კათედრა მუშაობდა სახელმღვანელოებზე.
იყო ასევე მოცემული რეკომენდაცია, რომ მომხდარიყო ფოკუსირება კვლევის ერთ მეთოდზე. ექსპერტი ლილი ხეჩუაშვილი ჩაერთო საუბარში და შენიშნა, რომ რამოდენიმე კვლევის მეთოდზე იყო საუბარი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბაკალავრო სწავლება ითვალისწინებდა ზოგადი განათლების მიცემას კვლევის მეთოდებში. სილაბუსის ავტორმაც და პედაგოგმაც ასე ჩათვალეს საჭიროდ, რომ გაეცნოთ სტუდენტთათვის ზოგადი კვლევის მეთოდები. ხოლო შემდეგ უკვე კონკრეტიკა მოდიოდა ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლებში (მესამე სწავლების წელი), ექსპერტიმენტულ ფსიქოლოგიაში და სხვა კურსებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კვლევის მეთოდებთან დაკაშირებით იყო 3 სხვადასხვა რეკომენდაცია, თუ ვაკეთებდით აქცენტს თეორიული მიმართულების მიწოდებაზე, მაშინ რაოდენობა ადექვატური იყო. მაგრამ თუ ვთხოვდით, რომ დამოუკიდებელი კვლევა გაეკეთებინათ, რაც არ მოეთხოვებოდათ საბაკალავრო საფეხურზე. პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის სჯობდა, რომ ცოტა მეთოდი ყოფილიყო და პრაქტიკულადაც უნდა ესწავლებინათ. ეს გახლდათ მთლიანად პედაგოგის გადასაწყვეტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევის სტატისტიკურ მეთოდებთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაითვალისწინეს. საბაზისო საუნივერსიტეტო კურსებში შეიტანეს სოციალური სტატისტიკა და SPSS საკითხები.

საბჭოს წევრი, სოფიკო ლობჟანიძე დაინტერესდა სოციალური პედაგოგიკის სასწავლო კურსით, აინტერესებდა ეს კურსი იყო თუ არა თავისუფალ კრედიტებში. რაზედაც დაწესებულების წარმომადგენლისგან მიიღო დადებითი პასუხი. სოფიკო ლობჟანიძემ იკითხა, თუ რატომ იყო თავისუფალი კრედიტების ჩამონათვალში ეს კურსი, თუ მას ვერ აირჩევდა ამ პროგრამის სტუდენტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა შედგებოდა ძირითადი და თავისუფალი არჩევითი კურსებისგან. სტუდენტს ჰქონდათვისუფალი კურსის არჩევის უფლება. ექსპერტთა მოსაზრებით, რომ ეს კურსი დუბლირებას აკეთებდა სოციალური ურთიერთობების ფსიქოლოგიასთან. კურსი შემუშავებული იყო პედაგოგიური კუთხით.
საბჭოს წევრი სოფიკო ლობჟანიძე ჩართო საუბარში და აღნიშნა, რეალურად ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კავშირის საკითხი სასწავლო კურსიდან არ ირკვეოდა. მიზანშეწონილი იყო მეტი კავშირი რომ ყოფილიყო განათლების მეცნიერებასა და ფსიქოლოგიას შორის. რაც ხშირად ფსიქოლოგიის პროგრამაში არ ჩანდა და გამოკვეთილი იყო განათლების მიმართულების პროგრამებში.

17:10 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 17:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მე-2 სტანდარტი საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც - მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2018 წლის 5 ნოემბერს. საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 5 ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 5 ნოემბრიდან.

დაწესებულებას რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრა 1 წელი. ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 1 წლის ვადაში განხორციელებულიყო პროგრამის მონიტორინგი იმ მიზნით, რომ გადამოწმებულიყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება დაწესებულების მხრიდან.

5. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში - 0703
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.
ექსპერტმა, ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ ეპსპერტების მიერ გაცემული იქნა ერთი რეკომენდაცია, პროგრამის ხელმძღვანელმა და სილაბუსის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ ავტორს, უნდა გადაეხედათ შესაბამისი მოდულის მიზნობრიობისათვის და დაგეგმვის შედეგებისათვის. დანარჩენი გახლდათ პროგრამის განვითარებისათვის რჩევები გაცემული.

საბჭოს თავმმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული იყო ერთადერთი რეკომენდაცია, თუმცა მე-2 და მე-4 სტანდარტი დასკვნის მიხედვით მეტწილად იყო შესაბამისი მოთხოვნებთან. პირველი სტანდარტი ხარისხობრივი თვალსაზრისით იყო ყველაზე მნიშვნელოვანი სტანდარტი, მე-2 და მე-4 სტანდარტებთან მიმართებით იყო მეტწილად შესაბამისობა. ამიტომ, მას უჩნდებოდა კითხვები, თუ რატომ იყო მეტწილად შესაბამისობა სტანდარტებში და არა სრული შესაბამისობა, როდესაც იყო მხოლოდ ერთადერთი რეკომენდაცია და ისიც, არ იყო გაწერილი პირველ სტანდარტში.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ სთხოვა ექსპერტს განემარტა გაცემული რეკომენდაცია რას გულისხმობდა.

ექსპეტმა ნინო შოშიტაშვილმა განმარტა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი იყო მედიის მოდული და მედიის ინსტრუმენტირება საზოგადოებასთან ურთიერთობაში არ მოდიოდა კონკურენტულად ჟურნალისტიკის პროფესიასთან. მისი აზრით, ეს იგულისხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია ეხებოდა მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტს. მას აინტერესებდა ამავე სტანდარტის მესამე კომპონენტში რის საფუძვლეზე შეფასდა მეტწილად შესაბამისად მოთხოვნებთან. თუ მხოლოდ ერთი რეკომენდაცია იყო გაცემული, მე-2 სტანდარტი როგორ იყო შეფასებული ნაწილობრივ შესაბამისად. ასევე აინტერესებდა, თუ რის საფუძველზე შეფასდვა მე-4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

ექსპეტმა ნინო შოშიტაშვილმა განმარტა, რომ მეოთხე სტანდარტში გამოკვეთილი იყო ინგლისური ენის არცოდნა აკადემიური პერსონალის მიერ. მარტო პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა კონფერენციებში და ჩართული იყო პროექტებში. დანარჩენი პერსონალი არ იღებდა მონაწილეობას. დაწესებულების მხრიდან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ ენის კომპეტენციის გაუმჯობეების მიზნით, მათთან თანამშრომლობდა British Council, თუმცა არ დადასტურდა შესაბამისი მემორანდუმით/ხელშეკრულებით.

საბჭოს თავმმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ ეს დაწესებულება გახლდათ სასწავლო უნივერსიტეტი. ზოგადად ექსპერტების მხრიდან ადგილი ჰქონდა არათანაბარ მიდგომებსა და შეფასებებს. ზოგი ექსპერტი ამ გარემოებას მიიჩნევდა მნიშვნელოვნად, ხოლო ზოგი წერდა რჩევის სახით, როგორც აქ იყო წარმოდგენილი. მომავალში უნდა ეფიქრათ და შეთანხმებუყლიყვნენ, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალისათვის უნდა მოეთხოვათ თუ არა სამეცნიერო საქმიანობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მას უჩნდებოდა კითხვა, თუ როგორ უნდა შეეფასებინა პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა/მისი განვითარება, თუ იგი არ ეწეოდა ამ საქმიანობას.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შეფასება ინჟინერიაში იყო მარტივი. ინჟინერიაში იქმნებიდა ახალი ტექნოლოგიები და შეიძლებოდა პერსონალს მიეღო ამ ტექნოლოგიების დანერგვაში და სწავლებაში მონაწილეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ სადოქტორო საფეხურზე ისინი საუბრობდნენ ახალი ცოდნის გენერირიებაზე. ხოლო ამ საფეხურზე შესაძლებელი იყო ეს საკითხი არ განეხილათ. მაშინ რა განსხვავება იქნებოდა სასწავლო უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტს შორის, თუ ერთიდაიმავე კრიტერიუმს დაუწესებდნენ პერსონალს.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, თუ როგორ იყო წარმოდგენილი ზოგადი საგნები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგადი საგნები იყო მრავალმხრივი და უშვებდა ფართო სპექტრის სპეციალისტს. მისთვის პროგრამა იყო მისაღები.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ძირითად კითხვას გააგრძელებდა. პროგრამაში წარმოდგენილი იყო ფილოსოფია, ისტორია, რელიგია და სხვა. მას უჩნდებოდა კითხვა, თუ რატომ არ შეიტანეს პროგრამაში მაგალითად ეკონომიკა. ჟურნალისტიკის სპეციალობისათვის ხომ შეიძლებოდა მომიჯნავე დარგიდან ესწავლებინათ საგნები. აინტერესებდა, არჩევითი კურსები იყო თუ არა პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით ასწავლიდნენ მედია მენეჯმენტს. ასევე ასწავლიდნენ ეკონომიკის პრინციპებს და პროექტის მართვას. ეს ყველა საგანი იყო მომიჯნავე დარგიდან. ასევე შეიძლებოდა განეხილათ შესავალი ტურიზმში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ საუბარი იყო იმ გარემოებაზე, რომ ჟურნალისტს ჰქონოდა სხვა სფეროზე ზოგადი წარმოდგენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი პროგრამა წარმოადგენდა თემატური ჟურნალისტიკის პროგრამას. ანუ, მათ ჰქონდათ შერჩეული ჟურნალისტური 2 სემესტრიანი სახელოსნოები, სადაც 6 თემას სთავაზობდნენ. მაგალითად, პოლიტიკის ჟურნალისტიკა, კულტურის ჟურნალისტიკა, სამხედრო ჟურნალისტიკა და სხვა. სტუდენტი მე-4 წელს ირჩევდა თემას და დიპლომსაც იცავდა ამ თემაზე. ამით არის ეს პროგრამა განსაკუთრებული.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა რას სწავლობდა სტუდენტი სახელოსნოში. რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტი სწავლობდა თემის გაშუქებას. მათთან ასწავლიდა ჟურნალ „არსენალის" რედაქტორი, მათ ჰქონდათ შესაბამისი სწავლების ფორმატი და აქტივობები. ამ ლაბორატორიების შინაარსი სამად იყო გაყოფილი, ჯერ სწავლობდნენ მთავარ თემებს, მაგალითად, რა იყო სამხედრო საქმე. შემდეგ სწავლობდნენ სხვა როგორ აშუქებდა ამ საქმეს, შემდეგ კი თავად სტუდენტი ცდილობდა ამის გაკეთებას.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ სილაბუსებში ეს არ ჩანდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხები განიხილებოდა „ჟურნალისტური ოსტატობის" სილაბუსში. ექსპერტემალური ჟურნალისტიკა მათ შორის გულისხმობდა სამხედრო ჟურნალისტიკასაც. მათი პროგრამის მიზანი გახლდათ, მოემზადებინათ ჟურნალისტები ახალი ამბების გასაშუქებლად.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ რეპორტიორი უფრო სხვა სპეციალობა იყო და ჟურნალისტიკა სხვა, ჟურნალისტიკა მისი აზრით, უფრო ანალიზის საქმიანობა გახლდათ. ხოლო რეპორტიორი აშუქებდა ახალ ამბებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რომ მათი პროგრამის მიზანი აზუსტებდა კურსდამთავრებილთა საქმიანობას.

18:20 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 18:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მე-2 და მე-4 სტანდარტები საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც - სრულად შესაბამისია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასდიოდა 2018 წლის 5 ნოემბერს. საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27[5] მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი. პროგრამაზე

ჩარიცხული სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 5 ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 5 ნოემბრიდან.

6. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში 1120
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ასლამ მახაძემ ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობაზე და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ირგვლივ. აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმის პირველი და მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. მეორე და მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, ხოლო მესამე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან.

პროგრამის ძლიერი მხარეები გახლდათ: ბოლო პერიოდში პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, პროგრამის შინარსის და კურსების სწავლების შედეგების მიზნებთან შესაბამისობის განსაზღვრისთვის გაწეული სამუშაოები; დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტების შექმნა; ინკუბატორის ფუნქციონირება, რომელიც რიგ კურსებში სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევდა განემტკიცებინა მიღებული თეორიული ცოდნა და გამოემუშავებინა პრაქტიკული უნარები.

პროგრამის სუსტი მხარეები იყო: მისი ახალი პროგრესული კურსებით შევსების საჭიროება; რამდენიმე შემთხვევაში უნდა შეცვლილიყო საგნების დასახელება. პროგრამის შინაარში გამოთქმული ზოგიერთი შეფასებები არაზუსტი იყო, მაშინ, როცა არსებული სიტუაცია საჭიროებდა ზუსტ განსაზღვრას. სილაბუსებში დაფიქსირებული ლიტერატურა

გასამდიდრებელი იყო ინგლისურენოვანი და ახალი ქართული ლიტერატურით. იყო შემთხვევები, როცა კურსი ისწავლებოდა ერთი წიგნით. გასაუმჯობესებელი იყი დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაცია.

ექსპერტთა მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნების და შედეგების შესაბამისობის ამაღლების მიზნით, ინკუბატორის საქმიანობა უნდა გაძლიერებულიყო თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროგრამული პაკეტებით;
- შეცვლილიყო სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები შესაბამისად კურსებით: ტურიზმის ეკონომიკის - შესავალი ტურიზმში-მიკროეკონომიკით; ტურისტული საწარმოს მართვის - შესავალი ტურიზმში-მენეჯმენტის საფუძვლებით; სასტუმროების მენეჯმენტის საფუძვლების - შესავალი ტურიზმში- მენეჯმენტის საფუძვლებით;
- შემცირებულიყო პროგრამის შედეგების რაოდენობა და ის ძირითადად უნდა განსაზღვრულიყო მაპროფილებელი სასწავლო კურსების შედეგებით;
- განხორციელებულიყო პროგრამის შედეგების და სასწავლო კურსების შედეგების კორექტირება;
- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსის სილაბუსებში დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით მკაფიოდ განსაზღვრულიყო დაშვების წინაპირობები;
- რეკომენდებული იყო პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული ყოფილიყო შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში“, ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, დაჯავშნის სისტემები ან სასტუმროს მართვის პროგრამული პაკეტები, „ხარისხის მართვა ტურიზმში“.
- რეკომენდებული იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საგნების კონტექსტში დაკონკრეტებულიყო და განისაზღვრულიყო მათემატიკა, გეოგრაფია ან ისტორია.
- სპეციალობის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს „ბიზნესის თეორიას“ და „მენეჯმენტის თეორიას“, შესაბამისად უნდა შეცვლოდათ სახელწოდება „ბიზნესის საფუძვლებით“ და „მენეჯმენტის საფუძვლებით“.
- რეკომენდებული იყო გაძლიერებულიყო მუშაობა სტუდენტების მხარდასაჭერად კარიერული განვითარებისა და ონლაინ სისტემით მაქსიმალური ინფორმირებულობის მიზნით;
- რეკომენდებული იყო გაზრდილიყო სტუდენტების ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში;
- რეკომენდირებული იყო საბაკალავრო ნაშრომის შესრულების დროს მეტი ყურადღება დათმობოდა გამოყენებული წყაროების სქოლიოს წარმოებას.
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა დაემყარებინა რეგულარული და საგნობრივი კომუნიკაციები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და (სხვა დაინტერესებულ მხარეებთან).

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა დადებითი მოსაზრება ექსპერტთა მიერ ჩატარებული სამუშაოების მიმართ. განაცხადა, შესაძლებელი იყო რეკომენდაციების მიღება. თუმცა ზოგიერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ჰქონდათ განსხვავებული მოსაზრება. მაგალითად, მესამე სტანდარტთან მიმართებაში, რომელიც შეფასდა - ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებათან. ამ სტანდარტთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო 2 რეკომენდაცია. გამლიერებულიყო სტუდენტების მხარდასაჭერად მუშაობა კარიერული განვითარებისა და ონლაინ სისტემით მაქსიმალური ინფორმირებულობის მიზნით, ასევე გაზრდილიყო სტუდენტების ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო, რომ მესამე სტანდარტის პირველი კომპონენტის მოთხოვნათა მიღწევის ანალიზში, ობიექტურად იყო აღწერილი იყო სტუდენტთა მხარდასაჭერი ღონისძიებებისა და დასაქმების ხელისშემწყობი მექანიზმების შესახებ. რაც დადასტურებული იქნა სტუდენტთა გამოკითხვით და ექსპერტთა მიერ შეფასდა დადებითად. ონლაინ მუშაობასთან დაკავშირებით სურდა დაზუსტება; დაწესებულებაში მოქმედებდა სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემა, რომელიც აძლევდა სტუდენტს შესაძლებლობას, მისი პროფილიდან მიეღო სრულფასოვანი ინფორმაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მისი თვითოეული კომპონენტის შესახებ (ცხრილი, შეტყობინება, აკადემიური მოსწრება, ფინანსური დავალიანება, გამოკითხვის ბარათები, კომუნიკაცია ბიბლიოთეკასთან და სხვა). ფუნქციონირებდა შიდა მართვის პლატფორმა MSM Moodle, გამოიყენებოდა ასევე ArcGIS მართვის პროგრამა GIS სწავლებისათვის და ასევე ტურის მოდელირებასათვის საგანთან ინტეგრაციაში. ჰქონდათ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზა. რათქმაუნდა წინსვლა, მითუმეტეს ტექნოლოგიური თვალსაზრისით საჭირო იყო, თუმცა ფიქრობდნენ, რომ ამ მხრიც სტუდენტები იყვნენ მხარდაჭერილები.

რაც შეეხებოდა ინტერნაციონალიციის აქტივობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ზოგადად ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევდნენ. ინტერნაციონალიზაცია მიაჩნდათ მრავალკომპონენტიანი აქტივობა, და არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ სტუდენტებისათვის საჭირო აქტივობით. განსახილველი იყო ასევე პერსონალის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. მათი სტუდენტები სისტემატიური მოსარგებლეები იყვნენ ყველა იმ აქტივობის, რომელიც დაწესებულებაში წლების განმავლობაში ხორციელდებოდა. ვიზიტის დროს მიმდინარე Erasmus+ პროგრამასთან დაკავშირებით ჯერ არ ჰქონდათ ინფორმაცია. ამჟამად გახდნენ ერთ-ერთი პროექტის მონაწილენი და ტურიზმის პროგრამის სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ესარგებლათ პროექტით. დაწესებულება მონაწილეობდა Tempus 2 პროექტში 2009 წლიდან 2017 წლამდე. რომლის ფარგლებში დაწესებულებას ჰქონდა სერიოზული თანამშრომლობა 11 ინსტიტუციასთან. ინჰოლანდის უნივერსიტეტის ჰაარლემის ტურიზმისა და დასვენების დეპარტამენტთან (ნიდერლანდები) ჰქონდათ მრავალწლიანი ურთიერთანამშრომლობა და მომზადებული ერთობლივი კურსი: საზოგადოებაზე დაფუძნებული ტურიზმი (Community Based Tourism) და Community Based Tourism – Field research კურსის ხელმძღვანელის, დაწესებულების საპატიო დოქტორის, დიკ ვეინანდსის ყოველწლიური ლექციები და მასტერ-კლასები; კურსი რომ ყოფილიყო ხარისხიანი, 2 პედაგოგი და 2 სტუდენტი გახლდათ მივლენილი ნიდერლანდიაში. ყოველწლიურად ტარდებოდა ლექციები ამ კურსის ავტორის მიერ. უცხოელი პედაგოგების მიერ ჩატარებული კურსები შეეძლოთ წარმოედგინათ. ამას ჰქონდა სისტემატიური ხასიათი.

2 კვირის წინ Erasmus+ პროექტის ფარგლებში 2 პროფესორი გახლდათ მათთან, ნეიორომარკეტის ლექციებთან და ასევე სტატისტიკის ტესტებთან დაკავშირებით კურსების წასაკითხად. მათი სტუდენტები ჩართულები იყვნენ საერთაშორისო პროექტში, 8 სტუდენტის ჩართულობით განხორციელდა საველე კვლევა, შექმნეს ბლოგი, მათი სტუდენტების მონაწილეობდნენ ნაირობის კონფერენციაში, რომელიც განხორციელდა ტურიზმის მეცნიერთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ. სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულები კონფერენციის ორგანიზებაში. ისინი გახლდნენ მათი მასპინძლები. შექმნეს ახალი დოკუმენტი უცხოელი სტუდენტების მიზიდვის მექანიზმთან დაკავშირებით. British Council-თან თანამშრომლობენ ენის სწავლების კომპონენტის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ასევე სურდა იმ სტანდარტებთან დაკავშირებით აზრის დაფიქსირება, რომლის კომპონენტები შეფასდა მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ეს იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსთან დაკავშირებული მოსაზრებები. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ეს საგნები (რაც ურჩიეს ექსპერტებმა) ისედაც ჰქონდათ შეტანილი. თუ შეზღუდვაზე იყო საუბარი, რამდენად სწორი იყო ეს შეზღუდვა, რაც კანონმდებლობით არ იზღუდებოდა. სასწავლო კურსების („ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში", „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები", დაჯავშნის სისტემები ან სასტუმროს მართვის პროგრამული პაკეტები, „ხარისხის მართვა ტურიზმში") პროგრამაში დამატების რეკომენდაციას ითვალისწინებდნენ. მათ ჰქონდათ მომზადებული კურსი ადამიანური რესურსების მართვა და შესაძლებელი იყო მოემზადებინათ კურსი - ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში, რაც შეეხებოდა დაჯავშნის სისტემებს. 2019 წლიდან აპირებდნენ მათივე იმიტირებულ ტურისტულ სააგენტოში განეხორციელებინათ ეს პროგრამა, მაგრამ შესაძლებელი იყო ეთქვათ, რომ ეს იყო პროფესიული დონე, თუმცა თუ დასაქმებაში ხელს შეუწყობდა სტუდენტებს, ამ კურსს შეიტანდნენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ სტუდენტების კონკრეტულ მოსაზრებას არ იცნობდა, თუმცა უნდოდა აღენიშნა, რომ ადაჯავშნის სისტემების სწავლება არ ამოიწურებოდა მხოლოდ ბაზაში ინფორმაციის შეყვანით. ამ შემთხვევაში დაჯავშნის პროცესის მართვაზე იყო საუბარი;მაგ.: სეზონურობის გათვალისწინებით შესაბამისი სტრატეგიის არჩევა და სხვა. ვერ დაეთანხმებოდა იმ მოსაზრებას, რომ დაჯავშნის სისტემების სწავლება პროფესიული დონის სწავლებას შეესატყვისებოდა. აქცენტი უნდა გაკეთებულიყო დაჯავშნის ანალიზზე, მოთხოვნის შესაბამისად თუ როგორ იცვლება სასტუმროს სტრატეგია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსებთან დაკავშირებულ კომპონენტს ჰქონდა ნაწილობრივი შეფასება, აქ საუბარი იყო ბიზნესის თეორიის და მენეჯმენტის თეორიის სახელწოდების შეცვლაზე და ისინი ამ საკითხს ეთანხმებოდნენ.

მეორე რეკომენდაცია პრაქტიკულად იმეორებდა მე-2 სტანდარტის მეორე კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას. რაც შეეხებოდა პროგრესულ კურსებს და მათ მიჩნევას პროგრამის სუსტ მხარედ, მათ მიერ მომზადებული სრულიად პატიოსანი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად, ისინი ორიენტირებულები იყვნენ საბაკალავრო სწავლების 4 ძირითად ფოკუსზე. ეს გახლდათ: ბიზნესის პარამეტრები, ტურიზმის თანამედროვე გეოინფორმაციული სისტემები, ტურიზმის პასუხისმგებლიანი და პერსპექტიული დარგების მიმართულებები. ამ ფოკუსების გარშემო ჰქონდათ აწყობილი ისეთი კურსები, როგორიც იყო საზოგადოებაზე დაფუძნებული ტურიზმი, ეკოტურიზმი, ინგლისურენოვანი კურსები, მათ

შორის მდგრადი მენეჯმენტი და სხვა. ყველა ეს კურსი სწავლობდა თანამედროვე ტრენდებს და ითვლებოდა 21 საუკუნის თანამედროვე კურსებად. თუმცა, რათქმაუნდა ტურიზმი, როგორც ერთერთი ცვალებადი სფერო, ტოვებდა აზრთა სხვადასხვაობის შესაძლებლობას. ექსპერტების რეკომენდაციების შემდეგ, 7 სილაბუსში შეიტანეს ინგლისურენოვანი წყაროები. მაგრამ, თვითმიზნად ამ პროცესს ვერ აქცევდნენ, შეჰქონდათ მხოლოდ იმ პროგრამაში, სადაც პედაგოგი და ჯგუფი იძლეოდა ამის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გაუჩნდა კითხვა, საბაკალავრო ნაშრომზე დაწერილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. საბაკალავრო ნაშრომი პროგრამის მიხედვით იყო სავალდებულო კომპონენტი. რეკომენდაციის თანახმად ნაშრომის შესრულების დროს მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა გამოყენებული წყაროების სქოლიოს წარმოებას. იგი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდნენ ამ რეკომენდაციაში.

ექსპერტმა განმარტა, რომ რამოდენიმე შემთხვევაში არ გახლდათ მითითებული სქოლიო და ექსპერტების მოსაზრებით, უნდა განახვილებულიყო ყურადღება ყველა ნაშრომის შემთხვევაში ერთიანი მიდგომებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი დაწესებულება მუშაობდა ე. წ. Chicago Style -ით. ამას წარმატებით იყენებდა სამართლის მიმართულება. მაგრამ სტილის შერჩევის შესაბამისი დოკუმენტი მითითითებს, რომ ამ სტილის შერჩევა შეიძლებოდა. ამიტომ, მათ წყაროების მითითების 2 ფორმატი ჰქონდათ, ერთი - სქოლიოებით, და მეორე - ტექსტში მითითება. ამ პროგრამაში იყენებდნენ ტექსტში მითითების სტილს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მითითება აუცილებელი იყო მაშინ, როცა სხვა ინფორმაციას იყენებდნენ ტექსტში. მითითების ბევრი სტილი არსებობდა. ეს იყო ტექნიკურ ორგანიზაციული საკითხი ნაშრომის წერის პროცესში, მაგრამ, ამ ინფორმაციას ტექნიკურად სად მიუთითებდნენ, გემოვნების საკითხი გახლდათ. ამაზე ერთიანი სტანდარტი საქართველოში არ არსებობდა. არსებობდა სფეროების მიხედვით სტანდარტი. მას სურდა გარკვეულიყო, რა შემთხვევაზე იყო საუბარი, მაგალითად, წყაროებს საერთოდ არ უთითებდნენ, იქნებოდა ეს ტექსტში თუ სქოლიოში, თუ როგორ უნდა ყოფილიყო მითითებული.

ექსპერტთა განმარტა, რომ ამ ნაშრომში, რომელშიც საუბრობდნენ, გაკეთებული გახლდათ მოსახლეობის გამოკითხვა და ამ გამოკითხვის შესაბამისად ჩატარებული იყო ანალიზი. რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ გამორჩენილი იყო მითითება, დანარჩენს შემთხვევაში მოცემული იყო. მათი მოსაზრებით, მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა აღნიშნულ საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუკი პროგრამა ითვალისწინებდა აკადემიურ ნაშრომს, მაშინ მას უნდა ჰქონოდა შესრულების პირობები, მაგალითად, აკადემიური წერის შერჩევის სტილი. სტილის შერჩევის/მისადაგების გარეშე, არ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება. ამიტომ, თუკი ეს მასობრივ ხასიათს ატარებდა, მაშინ საგანგაშო იყო. თუკი ერთეული ნაშრომები იყო გამორჩენილი, მაშინ მისი მოსაზრებით, ეს რეკომენდაციები შესაძლებელი იყო რჩევის სახით მიცემულიყო.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა დესტინაციის მენეჯმენტის საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დესტინაცია დასახელება ლათინური იყო, გახლდათ დანიშნულების ადგილი. თავდაპირველად მათ ეწერათ დანიშნულების ადგილის მართვა, თუმცა შემდეგ მათ შეცვალეს სახელი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ რამდენიმე რჩევის მიცემა სურდა დაწესებულებისათვის. წინა კვირას საბჭომ განიხილა მათი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. მისი აზრით ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის აწყობა შედარებით ადვილი იყო, ვიდრე შეედგინათ პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების კონკრეტულ დარგში. როდესაც ფოკუსირებას აკეთებდნენ რომელიმე კონკრეტულ დარგზე და მითუმეტეს ტურიზმზე. მისი აზრით, უფრო ფართო და კომპლექსური ხედვა სჭირდებოდა ამ მიმართულების ჩამოყალიბებას. ამ პროგრამასთან დაკავშირებით ჰქონდა ზოგიერთი მოსაზრება და დაწესებულებას ურჩევდა მის გათვალისწინებას. მაგალითად კურუკულუმში იყო საგნები ბიზნესის თეორია, მენეჯმენტის თეორია და სხვა. ექსპერტებმა ურჩიეს, რომ სახელი გადაეკეთებინათ ამ კურსებისათვის. მხოლოდ სახელის გადაკეთება არ იყო საკმარისი, შინაარსიც უნდა შეეცვალათ. მას თემებიც მიაჩნდა სილაბუსის შეუსაბამო. მაგალითად, ბიზნესის თეორიის კურსის თემები იყო: ბიზნესის საფუძვლები, ფინანსური ადმინისტრირების პრინციპები და სხვა. ფაქტობრივად მთლიანად საგნების სახელწოდებები ჰქონდათ გამოტანილი თემებში. მისთვის წარმოუდგენელი იყო როგორ უნდა მიმოეხილა ლექტორს ეს თემები ერთ საკონტაქტო შეხვედრაში. ჯობდა საკითხების დაკონკრეტება და ჩაშლა. რაც შეეხებოდა ფინანსების თეორიას, კურსში ისეთ საკითხებს სწავლობდნენ, რომელიც ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალისტს ნაკლებად გამოადგებოდა. და პირიქით მენეჯერულ აღრიცხვას, ასევე ფინანსურ მენეჯმენტს არ სთავაზობდნენ. მათი პროგრამა ფაქტობრივად არ ფარავდა ფინანსების საკითხებს, ხოლო კვალიფიკაცია წარმოდგენილი იყო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში. კურსდამთავრებული, რომელიც ბიზნესის სფეროში მიდოდა, უნდა დაუფლებოდა ფინანსებს. ფინანსური თეორია, რასაც ისინი ასწავლიდნენ (მაგალითად სახელმწიფო ბიუჯეტი), რომ არ ესწავლა, არ იქნებოდა პრობლემა. მაგრამ, ხარჯების დათვლა, კალკულაცია და სხვა რომ არ იცოდეს კურსდამთავრებულმა, წარმოუდგენელი იყო.

როგორც დაწესებულების წარმომადგენლის საუბარში განიმარტა, დაწესებულების ერთ-ერთი პრიორიტეტი GIS (გეო საინფორმაციო სისტემები) ტექნოლოგიის სწავლება იყო. რასაც ისინი ასწავლიდნენ, ეს იყო კარტოგრაფია, ამ კვალიფიკაციის სტუდენტს ამ საკითხების ამ მოცულობით სწავლა არ სჭირდებოდა, მისთვის გაუგებარი გახლდათ ცალკე იყო GIS საფუძვლები, და ცალკე იყო GIS ტურიზმში. ეს გახლდათ კლასიკური კარტოგრაფია. ერთ-ერთი პერსონალის სტატუსში ეწერა - სამხედრო გეოგრაფიის დოქტორი. ასეთი კვალიფიკაცია მისთვის უცნობი იყო. პროგრამა ითვალისწინებდა სასწავლო კურსს - ტურისტული საწარმო. ტურისტული საწარმო თავის თავში ბევრ მიმართულებას შეიძლება გულისხმობდეს, მაგალითად შესაძლებელია ყოფილიყო ტურისტული სააგენტო. ამიტომ, კითხვა გაუჩნდა, თუ რა იყო ტურისტული საწარმო.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გულისხმობდნენ ტურისტულ სააგენტოს.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაგრძო საუბარი და აღნიშნა, რომ პროგრამაში ჰქონდათ კურსი ბრენდის მართვა. ბრენდის მართვა პირდაპირ აღებული იყო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის კურსიდან. იქ შეიძლებოდა გლობალურად ბრენდის მართვა ესწავლებინათ. მაგრამ, როცა ტურიზმზე იყო საუბარი, ბრენდის მართვა უნდა ესწავლებინათ ქვეყნის ჭრილში - ბრენდი, რომელიც სახელმწიფოს მიერ ქვეყნის პოპულარიზაციას გახრდიდა, ტურისტული მარშრუტების პოპულარობას გაზრდიდა, პროდუქტისა და ქვეყნის მონეტარიზაციას რომ შეუწყობდა ხელს. რეალურად ეს აკლდა პროგრამას. რადგან თავისთავზე იღებდნენ, რომ ბიზნესის ადმინისტრირეაბა ესწავლებინათ

კონკრეტული დარგის ჭრილში (ტურიზმი), მაშინ მეტი პასუხისმგებლობა მართებდათ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს სხვადასხვა ბრენდინგი სჭირდებოდათ, ამას სახელმწიფოც აკეთებდა და კერძო კომპანიებიც. რეალურად ეს მაგალითები უნდა განხილულიყო პროგრამაში. დამატებით განმარტა, რომ ფინანსების გარეშე ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციაზე ვერ გავიდოდნენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ GIS დაკავშირებით მხოლოდ კარტოგრაფია არ შეისწავლებოდა, რაც შეეხებოდა ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს, იზიარებდნენ.

19:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 19:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასდიოდა 2018 წლის 15 ოქტომბერს. საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მე-2 სტანდარტი საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც - ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3^2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

7. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.
ექსპერტმა, ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გახლდათ საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ვერ ახერხებდა მონაწილეობა მიეღო სხდომის მსვლელობაში და დაკავშირებოდა მათ „სკაიპის" მეშვეობით. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს თავად გააცნობდა საბჭოს წევრებს.

- სილაბუსების უმეტესობაში შეფასების კრიტერიუმები იყო იდენტური, ერთადერთი განსხვავება მდგომარეობდა ქულების დაყოფაში. რეკომენდირებული იყო სილაბუსების დალაგება პირადი შეხედულებების და კურსის სპეციფიკის მიხედვით, იმისათვის რომ დაცული ყოფილიყო თითოეული ლექტორის აკადემიური თავისუფლება;
- ზოგიერთ სილაბუსში საჭირო იყო შეფასების კრიტერიუმების დეტალურად გაწერა. შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე სტუდენტებისათვის უნდა შეეთავაზებინათ გამოცდის თემები ორი ან მეტი კომპონენტით, იმისათვის რომ გადამოწმებულიყო მათ მიერ მთელი სემესტრის მანძილზე მიღებული ცოდნა;
- უნივერსიტეტს უნდა გადაემოწმებინა და დაემუშავებინა ზოგიერთი სილაბუსის შეფასების კრიტერიუმი. შეფასება მოცემული უნდა ყოფილიყო დეტალური ფორმით, კონკრეტული კრიტერიუემბის მიხედვით რომელსაც გამოიყენებდა პროფესორი;
- ინტერნაციონალიზაციის მიზნით მნიშვნელოვანი იყო სასწავლო კომპონენტის გარკვეული ნაწილი წაკითხული ყოფილიყო უცხოურ ენაზე (ინგლისური, გერმანული). აღნიშნული მიდგომა ასევე კარგი გზა იყო უცხო ენის უნარის განვითარებისათვის. ასევე ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში დაეხმარებოდა სტუდენტს კარიერულ წინსვლაში და განვითარებაში. უნივერსიტეტს ფოკუსირება უნდა მოეხდინა სტუდენტების საერთაშორისო გაცვლითი

შესაძლებლობების ჩამოყალიბებაზე. უნდა გაგრძელებულიყო მუშაობა არსებულ და ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან იმისათვის რომ საუკეთესო საერთაშორისო პრქატიკა გამოყენებული ყოფილიყო პროგრამის განვითარების მიზნით.

ექსპერტმა დამატებით განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ კარგად სტრუქტურირებული, ხაზგასასმელი იყო აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიციურობა, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს კავშირი ჰქონდა მხოლოდ აღნიშნულ უნივერსიტეტთან და არ ჰქონდათ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ლექციების წაკითხვის უფლება. აღნიშნული გახლდათ მნიშვნელოვანი გარემოება ვინაიდან მთელი მათი რესურსი მოხმარდებოდა სამართლის საბაკალავრო პროგრამის განვითარებას. ხაზგასასმელი იყო ასევე სამართლის კლინიკის არსებობა, რომელიც მუშაობდა გამართულად და ვიზიტის მიმდინარეობისას მათ კლინიკაში დახვდათ ადამიანები რომლებიც გადიოდნენ კონსულტაციას. ბიბლიოთეკა მოწყობილი იყო ისე, რომ სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურით. ბიბლიოტეკას ჰქონდა კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოტეკას ჰქონდა წვდომა ელექტრონულ ბაზებთან რომელიც სრულიად საკმარისი იყო საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის, როგორც ადმინისტრაციული თვალსაზრისით ისე კონტაქტების დამყარების კუთხით. აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამა არ ითვალისწნებდა სავალდებულო საგანს უცხო ენაზე, თუმცა სთავაზობდა შედარებითი და საერთაშორისო სამართლის ნაწილში სტავაზობდა სტუდენტს ინგლისურ და გემანულ ენაზე საგნებს. აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში უნივერსიტეტში გაძლიერდა სტრუქტურა. ცალკე გამოიყო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელსაც ჩაბარდა უნივერსიტეტთაშორისი და ფაკულტეტბს შორის ურთიერთობები, გაფორმებული იქნა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელიც ითვალისწინებდა როგორც აკადემიური პერსონალის ასევე სტუდენტების გაცვლით პროგრამებს. მიუხედავად აღნიშნულისა უნივერსიტეტი ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას ინტერნაციონალიზაციის კუთხით და იგეგმებოდა მუშაობის გაგრძელება ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით. მიმდინარეობდა მოლაპარაკებები „ELSA" - ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ასევე აკრედიტაციის მოპოვების შემთხვევაში იგეგმებოდა უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერება. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ზოგიერთ სილაბუსში შეფასების კრიტერიუემბის და სისტემის დივერსიფიცირებას, რეკომენდაციას ითვალისწინებდნენ ნაწილობრივ ვინაიდან უშუალოდ კომპონენტები გამომდინარეობდა საგნის სპეციფიკიდან, მრავალფეროვნება უზრუნველყოფილი იყო, მაგ: იქნებოდა ეს შეფასება შუალედური თუ ფინალური შესაძლებელია ყოფილიყო კაზუსის ამოხსნა, სიტუაციური ანალიზი, საჯარო პრეზენტაცია, ტესტირება, ღია კითხვებზე წერითი ნამუშევრის შესრულება. მათ არ ჰოქნდათ სურვილი რომ საბჭოს დარჩენოდა შთაბეჭდილება თითქოს შეფასების ნაწილში რაიმეს მხრივ იზღუდებოდა აკადემიური პერსონალის თავისუფლება ვინაიდან აღნიშნული უკავშირდებოდა საგნის სპეციფიკას. დაწესებულებას დანიშნული ჰქონდა აკადემიური საბჭოს სხდომა სადაც შეეცდებოდნენ აღნიშნული საკითხის განხილვას და შეფასების კრიტერიუემბის ხელახლა გადახედვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება სამართლის მიმართულებით ახორციელებდა მხოლოდ საბაკალავრო პროგრამას სადაც კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილი იყო ნომინალურად. შესაბამისად მათ ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული ბაზები არ გამოირჩეოდნენ სამართლის მიმართულების შინაარსით. უცხოელი ექსპერტის მოსაზრებით სასურველი იქნებოდა თუკი უნივერსიტეტს ექნებოდა

წვდომა ელექტრონულ ბაზებზე სამართლის მიმართულებით. დაწესებულებამ აწარმოა მიმოწერა სხვადასხვა ელექტრონულ ბაზებთან და დადგინდა ფასებიც. ვინაიდან პროგრამას ეწურებოდა აკრედიტაცია მათთან შეთანხმება დროებით შეჩერებულ იქნა ვინაიდან აიცოდნენ წინასწარ როგორ გადაწყდებოდა პროგრამის ბედი. იმ შემთხვევაში თუკი პროგრამას მიენიჭებოდა აკრედიტაცია კონსორციუმთან განახლდებოდა მოლაპარაკებები სამართლის მიმართულების ელექტრონული ბაზის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე ელექტრონულ ბაზებში დიდი თანხის გადახდა არ იქნებოდა გამართლებული და რეკომენდირებული. ვინაიდან სამართალი გახლდათ რეგულირებადი, რაც უფრო ნაკლები საგანი იქნებოდა რომელიც არ მოემსახურებოდა პროფესიაში შესვლას უკეთესი იქნებოდა. სპეციალური კომისია მუშაობდა დარგობრივ სტანდარტებზე სადაც მისი მოსაზრებით აღნიშნული გათვალისწინებული იქნებოდა. რაც შეეხებოდა ქართველი პროფესორების მიერ უცხო ენაზე საგნების სწავლებას, აღნიშნული საჭირო იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი მობილობის გზით საქართველოში ჩამოვიდოდნენ უცხოელი სტუდენტები, თუმცა არც ამერიკიდან და არც ევროპიდან საქართველოში სამართლის საბაკალავრო საფეხურზე სავარაუდოდ არ ჩამოვიდოდნენ სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე საგანი იყო წარმოდგენილი პროგრამაში, რომელიც მეორდებოდა სხვადასხვა ბლოკებში კერძოდ, კერძო სამართლის, სისხლის სამართლის და საჯარო სამართლის ბლოკებში. კერძო სამართლის ბლოკში წარმოდგენილი იყო რამოდენიმე საგანი (ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი, საბანკო სამართალი და ა.შ). მაგალითად, საბანკო სამართალში ყურადღება იყო მისაქცევი ლიტერატურისათვის სადაც ჩამონათვალში მითითებული იყო ნორმატიული მასალა. როდესაც მოყვებოდნენ სასწავლო კურსის შინაარსის თემატიკას, ის არ უნდა ყოფილიყო გაჯერებული მხოლოდ კანონებით. ნორმატიული ბაზა არ იყო ლიტერატურა. რაც შეეხებოდა სანოტარო სამართალს, სავალდებულო სამართალში საერთოდ არ იყო მითითებული ლიტერატურა გარდა ნორმატიული ბაზისა კონსტიტუციიდან დაწყებული სამოქალაქო კოდექსით დამთავრებული. ასევე დამატებით ლიტერატურაში იყო მითითებული ქართულენოვანი გაურკვეველი სახელმძღვანელოები. ასევე მითითებული იყო რუსულენოვანი ლიტერატურა, რომელიც არ გამოადგებოდა ქართველ სტუდენტს. ასეთი ხარვეზები ლიტერატურასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ბლოკში, თუმცა ყველაზე ნაკლებად საჯარო სამართლის ბლოკში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სრულად გადახედავდნენ პროგრამას და ბლოკებს ლიტერატურის თვალსაზრისით.

19:30 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 19:40 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2018 წლის 26 ნოემბერს. საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 26 ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 26 ნოემბრიდან.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრა 1 წელი.

8. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფესურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
კვალიფიკაციის დონე	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული სტომატოლოგი 090201
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.
ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგები - კლინიკური უნარ-ჩვევების კუთხით, აუცილებელია ისეთი პროგრამისთვის, როგორიცაა - სტომატოლოგია. სტუდენტისთვის სავალდებულო უნდა იყოს პაციენტის მიღება, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ დღიურში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა. ეს განსაკუთრებით ეხება სპეციალობის ისეთ საგნებს, როგორიცაა ოპერაციული ოდონტოლოგია, ენდოდონტია, პაროდონტოლოგია, მეტ-ნაკლებად - ქირურგია, ორთოპედია (პაციენტების სპეციფიკიდან გამომდინარე). მარტო ყურება დაუშვებელია.
- სილაბუსებში არსებული უზუსტობების გასწორება.
- სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგდეს საუნივერსიტეტო კლინიკის სასტერილიზაციო ოთახი, ცალკე სათავსი გამოიყოს ინფექციური ნარჩენებისთვის.
- გადაიხედოს სტუდენტთა შეფასება შემაჯამებელ გამოცდაზე, განსაკუთრებით სტომატოლოგიური მიმართულების საგნებში, სადაც პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება. დღეისათვის გამოცდაზე ფასდება სტუდენტის მხოლოდ თეორიული ცოდნა, არ ფასდება სემესტრის მანძილზე მის მიერ შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტის ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციით, აკადემიური და მოწვეული პერსონალი გადის ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის გადამზადების კურსს, კარგი იქნება, თუ მსგავსი ტიპის გამოცდით სტუდენტის ცოდნის შეფასება უახლოეს მომავალში რეალურად განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გასწორდა სილაბუსებში დაფიქსირებული უზუსტობები ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულებით; მოწესრიგდა საუნივერსიტეტო კლინიკის სასტერილიზაციო ოთახი, ცალკე სათავსო იქნა გამოყოფილი ინფექციური ნარჩენებისთვის; უახლოეს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე გადაიხედებოდა სტუდენტთა შეფასება შემაჯამებელ გამოცდაზე, განსაკუთრებით სტომატოლოგიური მიმართულების საგნებში; დაინერგებოდა ოსკის პროგრამა და მის მიხედვით მოხდებოდა პერსონალის გადამზადება. რაც შეეხებოდა სტუდენტის პაციენტთან ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ითვალისწინებდნენ „საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2პუნქტის „ა" ქვეპუნქტის დანაწესს, რომლის შესაბამისად ექიმის ფუნქციის შესრულების უფლება ჰქონდა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტს საუნივერსიტეტო კლინიკაში ან სამედიცინო დაწესებულებაში სპეციალურად გამოყოფილი პედაგოგის ხელმძღვანელობითა და მეთვალყირეობით. ამასტან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2015 წლიდან დღემდე ექიმის თანამდებობაზე დანიშნული იყო ორი პიროვნება, რომელთაც უშუალოდ ევალებოდათ სუდენტთა ხელმძღვანელობა, მეთვალყურეობა პაციენტებთან ურთიერთობისას საუნივერსიტეტო კლინიკაში კურაციების დროს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღსანიშნავი იყო ის ფაქტიც, რომ აღნიშნული პირები არ ესწრებოდნენ გასაუბრებას საექსპერტო ჯგუფთან, რამაც ფაქტობრივი უზუსტობა გამოიწვია დასკვნაში. საუნივერსიტეტო კლინიკაში სტუდენტებს, რომ უშუალოდ ჰქონდათ პაციენტების მიღებისა და მათთან ურთიერთობის შესაძლებლობა დასტურდებოდა სტუდენტთა დღიურებითაც. აღნიშნულთან დაკავშირებით, უახლოეს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მიზნით გადაიხედებოდა სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და საგანმანათლებლო პროგრამაშიც მომხდარიყო ზემოთ აღნიშნული გარემოებების ასახვა, რაც რეალურადაც ხორციელდებოდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ამასთან, თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტს 2013 წელს და განმეორებით 2016 წელს ჰქონდა სსიპ-სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მიღებული ჰქონდა აკრედიტაცია, სარეზიდენტო პროგრამაში „თერაპიული სტომატოლოგია", რომლის ფარგლებშიც საუნივერსიტეტო კლინიკა ახორციელებდა საქმიანობას.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ აღნიშა, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში კი იყო გათვალისწინებული პაციენტის ურთიერთობის საკითხი, თუმცა გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება, რომ როდესაც სტუდენტი თუნდაც რეზიდენტი ურთიერთობს პაციენტთან უნდა აიღოს პირველ რიგში მისი თანხმობა. მეორე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იყო პაციენტთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. პირველივე კურსიდან შეეძლოთ ინტეგრაციის პრინციპით განეხორციელებინათ პაციენტთან კომუნიკაციის უნარი, რაც კლინიკურ უნარ-ჩვევებშიც ჩაითვლებოდა. უმნიშვნელოვანესი იყო ე.წ. „OSCE" გამოცდის დანერგვა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელიც დაეთანხმა.

20:10 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 20:20 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2018 წლის 26 ნოემბერს. საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 26 ნოემბრიდან. ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მე-2 სტანდარტი საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც - მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფესურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფესურიან საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 26 ნოემბრიდან.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი. საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ 1 წლის განმავლობაში პროგრამაზე ასევე განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადამოწმებულიყო შესრულდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაფიქსირებული რეკომენდაციები.

9. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნადრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.
ექსპერტმა, ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გახლდათ საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ვერ ახერხებდა მონაწილეობა მიეღო სხდომის მსვლელობაში და დაკავშირებოდა მათ „სკაიპის" მეშვეობით. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს თავად გააცნობდა საბჭოს წევრებს.

- სილაბუსებში დეტალურად უნდა ყოფილიყო გაწერილი ყველა სასწავლო კვირის აქტივობა, უნდა ასახულიყო თუ რა აქტივობები იგეგმებოდა შუალედურის კვირას დარჩენილ ერთ საათში. ასევე სილაბუსებში გაუწერელი დარჩენილი ერთი კვირის დატვირთვაც უნდა ყოფილიყო ასახული;
- აკადემიურ პერსონალს სტუდენტებისათვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია მიმდინარე აქტივობების შესახებ, უნდა უზრუნველეყი მათი ჩართულობა, გაეზარდა მათი მოტივაცია (შეფასებით ან სტიპენდიით);
- სტუდენტებს უნდა მისცემოდათ შესაძლებლობა რომ დაეგეგმათ და განეხორციელებინათ საკუთარი აქტვობები;
- აკადემიურ პერსონალს მხარდაჭერა უნდა გაეწია სტუდენტებისათვის რომ მნაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა შეჯიბრებებში ან მსგავს აქტივობებში;
- აუცილებელი იყო სტუდენტებისათვის აქტიური გარემოს შექმნა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ფლობდა არაჩვეულებრივ ინფრასტრუქტურას, რომელიც მამოძრავებელი ძალა იყო სტუდენტისათვის. აღსანიშნავი იყო გამორჩეული ბიბლიოთეკა, ჰქონდათ წვდომა ელექტრონულ ბაზებთან თუმცა აღსანიშნავი იყო ის გარემოება რომ ბიბლიოთეკის პერსონალმა ვერ შეძლო ტექნიკურად ვერ შეძლეს ბაზების

გამოყენების დემონსტრირება. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი გახლდნენ საუკეთესო სპეციალისტებს თავის დარგში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტის მიერ აღნიშნული ერთი კვირის მანძილზე ნამდვილად არ ისვენებდნენ სტუდენტები ვინაიდან ამ ერთ კვირაში გათვალისწინებული იყო სულ მცირე ხუთი გამოცდა. აღნიშნული გათვალისწინებული იქნა თავად სტუდენტების მოთხოვნით ვინაიდან მათ 5-6 სალექციო საათის შემდეგ უწევდათ შუალედური გამცდების ჩაბარება, ამიტომ მათ მიეცათ მცრედი შუალედი იმისათვის რომ უკეთესად მომზადებულიყვნენ გამოცდებისათვის. საათების განაწილება შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს. იმ შემთხვევაში თუ არ ტარდებოდა აუდიტორული მეცადინეობები სტუდენტები საათებს იყენებდნენ დამოუკიდებელი მუშაობისათვის და ემზადებოდნენ გამოცდებისათვის. რაც შეეხებოდა შეფასების კრიტერიუმებს, კარგი იყო რომ აღნიშნულზე გამახვილებული იქნა ყურადღება, გარკვეულ სილაბუსებში ნამდვილად მეორდებოდა შეფასების კრიტერიუმები რომელიც ეხებოდა შეფასების გრადაციას რაც გამოწვეული იყო გადამეტებული ჩართულობის პრობლემითაც. პროფესორებს მიეწოდათ რამოდენიმე სამოდელო ვარიანტი საიდანაც მათ მიერ მოხდა არჩევა თუმცა ამავე დროს დაცული იყო პროფესორის აკადემიური თავისუფლება და მათ მიერ შემოთავაზებული განსხვავებული ფორმაც მიიღებოდა მხედველობაში. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დაწესებულება ვერ მიუთითებდა პროფესორს თუ რომელი შეფასების კრიტერიუმი გამოეყენებინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეფასების კრიტერიუმების დახვეწის მიმართულებით შესაძლებელი იყო მუშაობის გაგრძელება და ტრენინგების ჩატარება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო თუ რატომ არ შეიძლებოდა შეფასების კრიტერიუმები ყოფილიყო უნიფიცირებული გარკვეულ სფეროში. მაგალითად, თუ კი ისწავლებოდა შესავალი ვალდებულებით სამართალში ან სისხლის სამართლის ზოგად ნაწილს და გამოიყენებოდა ერთი და იგივე მეთოდოლოგია და შეფასება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საუბარი იყო სხვადსხვა საგნებზე სადაც მიუხედავად სპეციფიკისა წარმოდგენილი იყო შეფასების იდენტური ვარიანტები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუ მეთოდოლოგიურად დაჯგუფდებოდა გარკვეული საგნები, შესაძლებელი იყო ერთი და იგივე შეფასების კრიტერიუმების გამოყენება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუკი პროფესორებს მიეცემოდათ საშუალება სხვადასხვა საგნებში გამოეყეებინათ განსხვავებული შეფასებები, შესაძლო იყო აღნიშნულს დაებნია სტუდენტი და ჩაეთვალა რომ ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან მკაცრად ხდებოდა შეფასება ან პირიქით ძალიან მსუბუქად. აქედან გამომდინარე სასურველი იქნებოდა თუკი ყველა პროფესორის მიერ გამოყენებული იქნებოდა ერთგვაროვანი სტანდარტი, თუმცა გარკვეული ინდივიდუალიზმი შესაძლოა ყოფილიყო დაცული საგნის შინაარსიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გოგიშვილმა რომელიც წარმოადგენდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეგულარულად ხდებოდა სტუდენტების გამოკითხვა რომლის ანალიზის საფუძველზე ხდებოდა ინფორმაციის შეგროვება თუ რა ჩივილები ჰქონდათ მათ. პროგრამის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში ჩართული იყო თითქმის ყველა სტუდენტი რომელიც მათ აწოდებდა რაიმე ტიპის ინფორმაციას. როდესაც ხდებოდა პროგრამის გადამუშავება უშუალო

მონაწილეობას იღებდა პროცესში სამი სტუდენტი რაც მათი მოსაზრებით სრულიად საკმარისი იყო. რაც შეეხებოდა აღნიშნული სტუდენტების შერჩევის პრინციპს, სელექცია მოხდა იმ სტუდენტებიდან რომლებიც ნაკლებად აცდენდნენ ლექციებს და მეტ ინტერესს იჩენდნენ სწავლის პროცესისადმი. ვინც აცდენდა და არ იჩენდა აქტიურობას შესაძლოა ნაკლები ინფორმაცია მიეწოდებინა მათთვის. რაც შეეხებოდა სტუდენტების ჩართულობას სხვადსხვა აქტივობებში და კონფერენციებში, ყოველთვის როდესაც იგეგემებოდა რაიმე აქტივობა წინასწარ ხდებოდა დაანონსება და ინფორმაცია იდებოდა ვებ-გვერდზეც. ასევე აღსანიშნავი იყო რომ გაძლიერდა ინგლისური ენის კომპონენტიც, სავალდებულო გახდა B2 დონე მიღებისას, ხოლო 20 კრედიტი გაზრდილი იქნა 30 კრედიტამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ ურჩია დაწესებულებას საგანს „სამეწარმეო სამართალი" გადაერქვათ სახელი და ეწოდებინათ „საკორპორაციო სამართალი" ვინაიდან აღნიშნული სახელწოდებები არ წარმოადგენდნენ სინონიმებს და მათში იყო განსხვავება შინაარსის თვალსაზრისითაც.

21:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 21:15 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მე-2 და მე-3 სტანდარტები საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც - შესაბამისი მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლედ აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის დოქტორი 1004
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

- სადოქტორო პროგრამა უნდა იქნეს ინტერნაციონალიზებული სწავლებისა და ასევე, ხელმძღვანელობის საკითხებში. იდეალური იქნება, თუ უსდ შეიმუშავებს მოცემული სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას ან სამოქმედო გეგმას.
- წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი აქტიურად უნდა ცდილობდეს სადოქტორო პროგრამაში საერთაშორისო პარტნიორების ჩართვის გზების ძიებას, შესაძლოა ერთობლივი შედარებითი კვლევის მეშვეობით ეკლესიის ისტორიაში ან რელიგიების ისტორიაში, როგორც მათი სპეციალიზაციის სფერო.
- პროგრამის სასწავლო კომპონენტი საჭიროებს უახლესი საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურის და აკადემიური კონცეფციების შეტანას და მათ გამოყენებას საქართველოს კონტექსტში.
- სხვა ინოვაციური ნაბიჯი - საქართველოს ისტორიის ინეგრირება საერთაშორისო კვლევასა და აკადემიურ საზოგადოებაში მოცემული სადოქტორო პროგრამის მეშვეობით - იქნება მისასალმებელი.
- სადოქტორო პროგრამის განსაკუთრებული როლი და ფუნქცია წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებაში უნდა იქნეს განმარტებული. პროგრამა მაქსიმალურად უნდა იყოს ფოკუსირებული ისტორიოგრაფიაზე (მიღების მოთხოვნები, სასწავლო კომპონენტი ფოკუსირებული ეროვნულ და საერთაშორისო ისტორიოგრაფიაზე). ეს შესაძლოა, ასევე, დაეხმაროს უნივერსიტეტის მენეჯმენტს პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრაში საბიუჯეტო დაგეგმვისათვის და მნიშვნელოვანი რესურსების გამოსაყოფად. შეფასების კრიტერიუმები უნდა იქნეს

დივერსიფიცირებული და ფოკუსირებული პრეზენტაციების მიღმა განსაკუთრებული უნარების შედეგებზე. თუ ეს ჯერ არაა გაკეთებული, მაშინ პროგრამამ უნდა უზრუნველყოს დოქტორანტთა აქტიური ჩართულობა უნივერსიტეტში, ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობაში და მისცეს დოქტორანტებს საპასუხისმგებლო როლი ასეთ თანამშრომლობაში.

- კურსების ლექტორები, ასევე, საჭიროებენ მუდმივად ინტერნაციონალიზებას. წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი აქტიურად უნდა ცდილობდეს, საერთაშორისო სწავლებასა და დოქტორანტთა გაცვლაში მონაწილეობის მეშვეობით, საზღვარგარეთიდან გარე ლექტორების მოწვევას. უნდა არსებობდეს მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც დაეხმარებოდა პედაგოგებს საკუთარი სწავლების შესაძლებლობების გაუმჯობესებაში, ისევე, როგორც დოქტორანტების ბიბლიოთეკაში საერთაშორისო კვლევების შესახებ ლიტერატურის ხელმისაწვდომობაში. საველე პრაქტიკის შესაძლებლობა წვლილს შეტანდა კურსდამთავრებულთა უკეთეს დასაქმებაში.
- უნივერსიტეტის მენეჯმენტმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს გარე შეფასების უფრო რეგულარული ფორმების იდენტიფიცირება არა მხოლოდ ყოველ 5 წელიწადში აკრედიტაციის მიზნებისათვის, არამედ ყოველწლიურად.
- ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურებმა პროგრამის კვლევითი შედეგების ობიექტურად გასაზომად უნდა შემოიღონ შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორები, როგორიცაა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციები, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, კვლევითი გრანტები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა განსხვავებული იყო სხვა სადოქტორო პროგრამებისაგან, რადგან ეს პროგრამა კონცენტრირებული იყო არა მხოლოდ საქართველოს ისტორიაზე, არამედ საქართველოს ეკლესიის ისტორიაზეც. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ იგი საპატრიარქოს წიაღში ფუნქციონირებს, არ ატარებს მისიად იმას, რომ იყოს კონცენტრირებული ეკლესიის ადვოკატირებაზე. მან აღნიშნა, რომ პროგრამას დღეს აქვს ისეთ სახე, რომ მომავალში იგი აუცილებლად უპასუხებს ყველა იმ შენიშვნას, რომელიც ახლა ჰქონდათ ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმები თურქეთის, ირანისა და რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, რადგან ამ ქვეყნებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიის კვლევისათვის. ასევე მან ხაზი გაუსვას მჭიდრო ურთიერთობას პოლონურ უნივერსიტეტებთანაც. მან აღნიშნა, რომ პროგრამა ითამაშებს მნიშვნელოვან როლს უნივერსიტეტისა და მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში, რადგან გამოიკვლევს საკითხებს, რომელთაც ახლა ტაბუ ადევთ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აპირებს უფასო გახადოს სწავლა მიზნობრივი თემატიკის მკვლევარი სტუდენტებისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის დიდი მუხრუჭი იყო ის, რომ ჰუმანიტარული პროგრამები ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ და მათ უწევდათ საკუთარი თანხებით დაეფინანსებინათ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების სწავლა კონკურენციისათვის, თუმცა მომავალი წლიდან ეს სავარაუდოდ ასე აღარ იქნებოდა და მეტი რესურსები შეიქმნებოდა სადოქტორო პროგრამისათვის. პერსონალის გაახალგაზრდავების შესახებ მან შენიშნა ის, რომ ახალი პერსონალი მაშინ მოვიდოდა, როდესაც დაწესებულება შეიმუშავებდა ახალ თემატიკებს კვლევისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართული პროფესურა აქვეყნებდა პუბლიკაციებს საერთაშორისო ჟურნალებში, მომავალში კი ისინი აუცილებლად

დააწესებდნენ დაცვის წინაპირობად მაღალი დონის რეფერირებად ჟურნალში პუბლიკაციის ქონას.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, თუ რა ტაბუდადებულ თემებს გულისხმობდა დაწესებულების წარმომადგენელი საუბრისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მაგალითი იყო 1977 წლის შემთხვევა, როდესაც დააკავეს ერთ-ერთი მღვდელმსახური, რომელსაც დააბრალეს თამარის ქოშების მოპარვა. ასევე, მან აღნიშნა სტალინის მორწმუნეობისა და ეკლესიის მფარველობის მითი.

დაწესებულების წარმომადგენელმა გარე-შეფასების საჭიროების შესახებ რეკომენდაციაზე მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში რეგულარული იყო შიდა-შეფასების პროცესები, რომელიც შემდეგ იყრიდა თავს სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამის დოკუმენტაციაში. პროგრამის შეფასების საკითხზე კი მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტი აფასებდა პროფესორთა აქტივობებს და ამას მოჰყვებოდა უკუკავშირი, თუმცა ექსპერტის რეკომენდაცია ამ მიმართულებით გამოადგებოდა უნივერსიტეტს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი დაწესებულება უფრო მეტ კონფერენციაში ჩართავდა სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის საკითხი, მაგრამ, პირველ რიგში, ეს უნდა განხორციელდეს უცხოურ ცენტრებთან ერთად ურთიერთსასარგებლო და ორივე მხარისათვის საინტერესო პროექტების განხორციელებით, რისი პოტენციალიც უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აქვს და რაც, რამდენადაც ცნობილია, გარკვეული დოზით ხორციელდება კიდეც. მან ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო კომპონენტი სადოქტორო დონისას თითქოს არ ჰგავდა და სილაბუსებში თემატიკისა და ლიტერატურის ჩამონათვალი უფრო მეტად შეესაბამებოდა შესავალ კურსებს, თუმცა ცალკეული ელემენტი აფიქრებინებდა, რომ რეალურად მეცადინეობა უკეთ ტარდებოდა და სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, უფრო დეტალურად აეხსნათ, როგორ ხორციელდებოდა სასწავლო კომპონენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტი საგანში მოიპოვებდა ინფორმაციას თემატიკის მიხედვით, ზრდიდა თვალსაწიერს და ეს არ იყო კლასიკური გაგებით ლექცია, არამედ გარკვეული ფორმის სემინარი. მან აღნიშნა, რომ დაცული იყო აქამდე 14 დისერტაცია, ახლა კი 25 დოქტორანტი ჰყავდათ პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, იყვნენ თუ არა სასულიერო პირები დოქტორანტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოსულან, თუმცა მხოლოდ ერთმა მათგანმა დაასრულა, სხვებს კი განსხვავებული მოლოდინები ჰქონდათ პროგრამასთან დაკავშირებით და მალევე დატოვეს პროგრამა.

21:45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 22:00 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2018 წლის 26 ნოემბერს. საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 26 ნოემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 26 ნოემბრიდან.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელი ანგარიშის წარმოსადგენად, სადაც ასახული იქნებოდა თუ როგორ გაითვალისწინა უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს წევრების მიერ მიცემული რეკომენდაციები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ 22:10 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

მდივანი

ლევან გორდეზიანი